

# საკონსულტაციო მომსახურების დავალებათა აღწერა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი  
RMIDP 2

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების ხელშეწყობის კომპონენტი

საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება  
წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად  
შპს „ვილა-გოდოლის“ კუთვნილი სასტუმროსთვის სოფელ რუისპირში

## 1. შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. ამავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას. ფონდის პროგრამებით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - ფონდი) ახორციელებს რეგიონული განვითარების მესამე და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტებს.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კომპონენტს. კერძო ინვესტიციის წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად ეხმარება კერძო მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიცია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორში. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა განისაზღვრება არა უშუალოდ ბიზნეს პროექტის დაფინანსებით, არამედ მათთვის მომიჯნავე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობით.

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების კომპონენტის ფარგლებში დონორთან შეთანხმებით განსაზღვრულია წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე შპს „ვილა გოდოლის“ კუთვნილი საპროექტო სასტუმროსთვის.

დამკვეთს (ფონდს) სურს ისარგებლოს ტექნიკური მომსახურებით ხსენებული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისა და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად.

ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა გულისხმობს პროექტის ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალური ხარჯებისა და, ასევე, საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიური ხარჯების შეფასებას. აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა

შესაძლო ალტერნატივისთვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

ზემოთ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე დამკვეთი, სასტუმროს მფლობელებთან და კონსულტანტთან ერთად გადაწყვეტს თუ რა მიმართლებით მოხდება პროექტირების დეტალური ნაწილის მომზადება, რომელიც თავის თავში მოიცავს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სამშენებლო კომპანიის შესარჩევი ტენდერის ჩატარება და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული სამუშაოების დოკუმენტაციის ჩამონათალი მოცემულია 4.2 თავში.

## **2. ობიექტის მოკლე აღწერა**

დასაპროექტებელი ობიექტი წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე შპს „ვილა გოდოლი“-ს კუთვნილი სასტუმროსთვის მოსაწყობ წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემებს, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმრო კომპლექსის შეუზღუდავ ფუნქციონირებას. სასტუმროსთვის მისაწოდებელი წყლის ბუნებრივი წყარო განსაზღვრული არ არის და ამის დადგენა კონსულტანტის დავალების შემადგენელი ნაწილია.

როგორც შპს „ვილა გოდოლი“-ს კუთვნილ საკადასტრო საზღვრებში, ასევე მიმდებარე მუნიციპალურ ტერიტორიაზე ამჟამად არანაირი ნაგებობა არ არსებობს. ტერიტორიაზე განლაგდება სასტუმროს შენობა 37 ნომრით რომლის მინუს სართულზე განთავსდება მარანი. სასტუმროს კუთვნილი ტერიტორია შეადგენს 4 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. ნავარაუდევია, რომ ამ ტერიტორიის 1,5 ჰა მოირწყება წვეთოვანი ან გაფრქვევის გზით, ხოლო დაახლოებით 2,5 ჰექტარი მოირწყება ხელით (დრეკადი მილით).

## **3. დავალების მიზანი**

საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება მიზნად ისახავს (1) სასტუმრო კომპლექსისთვის მისაწოდებელი წყლის ოპტიმალური ბუნებრივი წყაროს მოძიებას; (2) წყალმომარაგების სათავო ნაგებობის, მილსადენის, სამარაგო რეზერვუარების, სასმელი წყლის გაუვნებელყოფის, საკანალიზაციო კოლექტორის, კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და გაწმენდილი წყლის გამყვანი კოლექტორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას და (3) წყალღების ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. ამისათვის საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვა, შესწავლას და გაანალიზება სოციალური და ეკონომიკური შეფასებებისა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით; სრულყოფილი კვლევის და შეფასების ჩატარება და ზემოთხსენებულ კვლევებზე დაყრდნობით დეტალური საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადება.

კონსულტანტი იმუშავებს დამკვეთის (ფონდის) ზედამხედველობის ქვეშ შპს „ვილა გოდოლის“ წარმომადგენლებთან შეთანხმებით. წარმოდგენილი საინჟინრო პროექტი უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული და გარემოსათვის უვნებელი.

#### 4. მომსახურების აღწერა

სქემის დონეზე უნდა დამუშავდეს წყალმომარაგების **ორი შესაძლო ვარიანტი** და ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე შეირჩეს მათგან უმჯობესი..

საკონსულტაციო მომსახურება განხორციელდება ორ ეტაპად:

I ეტაპი - საკვლევადიებო სამუშაოების შესრულება და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

II ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სატენდერო მასალების მომზადება.

პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული რაიონებისათვის დამახასიათებელი კლიმატური ფაქტორები და შესაბამისი დატვირთვები შენობაზე, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მონაცემების საფუძველზე.

შენობათა საძირკვლების და კონსტრუქციული ელემენტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) მოთხოვნები.

პროექტი მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ასევე ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ტიპური პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
- საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- [СНиП 2.04.04-84](#) Водоснабжение. наружные сети и сооружения
- [СНиП 2.04.03-85](#) Канализация. наружные сети и сооружения
- [СП 31-110-2003](#) Проектирование и монтаж электроустановок жилых и общественных зданий;
- [ПУЭ](#) Правила устройства электроустановок;
- [EN 805](#) წყალმომარაგება - შენობის გარეთ არსებული სისტემებისა და კომპონენტების მოთხოვნები;
- [EN 1508](#) წყალმომარაგება - წყლის შენახვის სისტემებისა და კომპონენტების მოთხოვნები;
- [EN 1295-1](#) სხვადასხვა დატვირთვის ქვეშ მიწაში ჩადებული მილსადენების სტრუქტურული დაპროექტება - ნაწილი 1: ზოგადი მოთხოვნები;
- [EN 752](#) სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები შენობის გარეთ
- საბჭოს დირექტივა 98/83/EC ადამიანთა მოხმარებისათვის გამიზნული წყლის ხარისხზე

- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება. გამოყენებული მასალები უნდა იყოს პრაქტიკული, მარტივად დასამუშავებელი და ეკოლოგიურად სუფთა.  
საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის მინიმალური საექსპლუატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები;

**4.1 გასაწევი ღონისძიებების ჩამონთვალი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, თანმიმდევრობა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები:**

საინჟინრო პროექტი უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკურ დავალებაში მოცემულ მოთხოვნებს და უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

**4.1.1 კონცეპტუალური დიზაინის დამუშავება მოიცავს (I ეტაპი):**

- განმარტებით ბარათს, არსებული სიტუაციის და საპროექტო კონცეფციის აღწერას, კალკულაციებს.
- პროექტის მოსამზადებლად საჭირო კვლევა-ძიებებს: წინასწარი ტოპოგრაფიული (UTM სისტემაში), გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია (რელიეფის, ქანების, ნიადაგის აღწერა არსებული საარქივო მონაცემების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად; ინფორმაცია უნდა იძლეოდეს დასკვნას სახიფათო გეოლოგიური პროცესების არსებობის ან ალბათობის შესახებ; გრუნტის წყლების განლაგების, სიღრმის შესახებ და ა.შ.), საკადასტრო მასალებს, ფოტომასალას.
- წყალმომარაგების მინიმუმ ორი გადაწყვეტილების კონცეფციას (სიტუაციური და გენერალური გეგმები), მათ ტექნიკურ-ეკონომიკური განხილვას და ამ ალტერნატივების შედარებას

**4.1.2 კონცეპტუალური დიზაინის განვითარება გულისხმობს** ესკიზური პროექტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემდეგი ნაწილების დამუშავებას:

- განმარტებითი ბარათი:
- სათავე ნაგებობის (ან ნაგებობების) მოწყობის სამუშაოებს.
- სატუმბო სადგურის, რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებს.
- წყლის გაუვნებელყოფის მოწყობის სამუშაოებს.
- რეზერვუარებიდან ობიექტამდე წყლის მიყვანის სამუშაოებს.
- საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობის სამუშაოებს.
- საკანალიზაციო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოებს.
- გაწმენდილი წყლის უსაფრთხოდ მოცილების სამუშაოებს
- სპეციფიკაციებს.
- ხარჯთაღრიცხვებს.
- გარემოს დაცვის ანგარიშებს.

**4.1.3 საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავება (II ეტაპი) გულისხმობს** სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სამშენებლო კომპანიის შესარჩევი ტენდერის ჩატარება და სამშენებლო სამონტაჟო

სამუშაოების განხორციელება. ამ დოკუმენტაციის მინიმალური ჩამონათვალი მოცემულია 1.2.2.3. პუნქტში. ამ ეტაპის მიმდინარეობისას, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად საკმარისი დოკუმენტაციის პაკეტის დასრულებისთანავე, ეს უკანასკნელი უნდა გადაეცეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტს არქიტექტურის სამსახურს. სტანდარტულად ნებართვების მოსაპოვებლად აუცილებელი პაკეტის შემადგენლობაა:

- ტექნოლოგიური ნაწილი;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ელექტრული ნაწილი;
- მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი;
- სპეციფიკაციების ნაწილი;
- სახარჯთაღრიცხვო ნაწილი;
- ექსპლუატაციის ნაწილი.

#### **4.1.4 მომსახურება ადგილობრივ, სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში მოიცავს:**

- დოკუმენტაციის მომზადებას ნებართვების მოსაპოვებლად კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებიდან (ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, ტექნიკური წყალი, სატელეფონო და სატელევიზიო კავშირი, ინტერნეტ მომსახურება, აგრეთვე, სხვა საკომუნიკაციო მომსახურება საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი ტექნიკური კონსულტაციების გაწევას დამკვეთისათვის;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია იყოს საჭირო პროექტის შეთანხმება ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ამ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს და დაკომპლექტდეს მშენებლის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ასევე შესაძლებელია ნებართვების მიღება იყოს საჭირო ბუნებრივი რესურსის, ამ შემთხვევაში წყლის, მიღება-გამოყენებისთვის, რისთვისაც მომსახურება უნდა მოიცავდეს შესაბამის უწყებაში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადებას.

#### **4.2 სრული საპროექტო დოკუმენტაციის შინაარსი.**

საბოლოო სრული საპროექტო დოკუმენტაციის ნაწილები და ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ:

- განმარტებითი ბარათი;
- წყლის მოთხოვნილების განსაზღვრა;
- სათავეებზე სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბიოლოგიური ანალიზი;
- რეზერვუარების მოწყობის დეტალური პროექტი;
- მოთხოვნები სასმელ-სამეურნეო წყლის ხარისხზე;
- საპროექტო ტერიტორიის ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონაცემების შესწავლა არსებული მასალების საფუძველზე;
- სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების კვლევა;
- წყლმომარაგება-კანალიზაციის ყველა საინჟინრო ნაგებობების განთავსების ადგილის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
- სიტუაციური გეგმა, მ. 1:2000;
- გენერალური გეგმები, მ. 1:1000 1:500 1:200;
- გეგმებზე საკადასტრო ინფორმაციის დატანა;

- არსებული საინჟინრო კომუნიკაციების დატანა ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე.
- წყლის მიწოდების სქემა და ჰიდრავლიკური ანგარიშები („ეკანეტ“-ის ან ანალოგიურ ჰიდრავლიკური მოდელირების პროგრამაში);
- განივი, გრძივი პროფილების შედგენა;
- სამუშაოთა მოცულობის უწყისის შედგენა;
- საჭიროების შემთხვევაში სათავე ნაგებობების ან სატუმბი სადგურის ელ. მომარაგებით უზრუნველყოფა;
- სათავე ნაგებობების საპროექტო პარამეტრების განსაზღვრა;
- მუშა ნახაზები, წყალსადენის, წყალსადენის კვანძების, არსებული კომუნიკაციების გადაკვეთის გეგმები და ჭრილები მ 1:1000, 1:500, 1:200, 1:100 და 1:50;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (მ 1:100, 1:50, 1:25);
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, სამშენებლო მექანიზმების რაოდენობის განსაზღვრა და სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
- მასალების და ნაკეთობების სპეციფიკაცია.
- ტექნიკური სპეციფიკაციები.
- საერთო სპეციფიკაციები.
- ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (რესურსული და სატენდერო).
- სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.

პროექტის განმარტებით ბარათში უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა. შ.), მოცემული უნდა იყოს სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები, საორიენტაციო კალენდარული გრაფიკი, გარემოსდაცვითი ნაწილი. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები, წესები და გაანგარიშების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეობისათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისთვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის. პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბებში და დეტალიზაციით.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი უნდა იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით.

## 5. კონსულტანტის ექსპერტები და გამოცდილება

კონსულტანტმა დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის). ყველა ძირითად ექსპერტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლის მსგავსი პროფესიული გამოცდილება.

კონსულტანტს 2013 წლის 1 იანვრიდან ინტერესის გამოხატვის წარდგენის ბოლო ვადამდე წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული (დასრულებული) წყალმომარაგება- წყალარინების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელშიც ასევე განიხილებოდა კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა ან მოწყობილობა.

მოთხოვნილი ექსპერტების ჩამონათვალი, საკონსულტაციო მომსახურებაში მათი ჩართულობა და მინიმალური მოთხოვნილი გამოცდილება:

	ექსპერტის პოზიცია	რაოდენობა	ჩართულობა/კაც-თვე	ჯამური კაც-თვეები
<b>ძირითადი ექსპერტები</b>				
1.	ჯგუფის უფროსი	1	2	2
2.	წყლის და კანალიზაციის ინჟინერი	1	2	2
3.	ჰიდროგეოლოგი	1	1	1
4.	გეოლოგი	1	0.5	0.5
5.	გეოდეზისტი	1	1	1
ძირითადი ექსპერტები: 6.5 კაც-თვე				
<b>არაძირითადი ექსპერტები</b>				
1.	ხარჯთაღმრიცხველი	1	2	2
2.	სოციალური და გარემოს დაცვის სპეციალისტი	1	1	1
3.	მხაზველი	2	2	4
4.	კონსტრუქტორი	1	0.5	0.5
5.	ელექტრიკოსი	1	0.5	0.5
6.	გეო - საინფორმაციო სისტემის სპეციალისტი (GIS-ს სპეციალისტი)	1	0.4	0.4
7.	საკანალიზაციო სისტემის ინჟინერ ტექნოლოგი	1	2	2
არაძირითადი ექსპერტები: 10.4 კაც-თვე				
<b>სულ: 16.9 კაც-თვე</b>				

**წამყვანი ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა**

სპეციალიზაცია	გამოცდილება მითითებულ დარგში (წლები)	სპეციალიზაციის სფერო, კვალიფიკაცია
---------------	--------------------------------------	------------------------------------

ჯგუფის უფროსი	5	სამოქალაქო მშენებლობა - წყლის და კანალიზაციის პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);  საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი საინჟინრო სფეროში;
წყლის და კანალიზაციის ინჟინერი	5	სამოქალაქო მშენებლობა - წყლის და კანალიზაციის პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);  საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი საინჟინრო სფეროში;
ჰიდროგეოლოგი	5	სამოქალაქო მშენებლობა - ჰიდროგეოლოგიური კვლევების და ჭაბურღილების პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);  საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი გეოლოგიის/ჰიდროგეოლოგიის სფეროში;
გეოლოგი	5	სამოქალაქო მშენებლობა - გეოლოგიური კვლევების და გეოლოგიური დასკვნების მომზადება, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);  საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი გეოლოგიის სფეროში;
გეოდეზისტი	5	სამოქალაქო მშენებლობა - მიწის კვლევა, ტოპოგრაფია და გეოდეზია და მსგავსი მასშტაბის და ტიპის პროექტის განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურებები),  საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრის ხარისხი ტოპოგრაფიაში/გეოდეზიაში.

## 6. ანგარიშგება და განრიგი

**6.1.** ხელშეკრულების ხელმოწერიდან **4 (ოთხი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით წარუდგინოს შემსყიდველს წინამდებარე ტექნიკური დავალების **4.1.** პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის კონცეპტუალური დიზაინის დამუშავების **2 (ორი)** ვერსია.

**6.2.** შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი განიხილავს და კვლევა ძიების დოკუმენტაციას და კონცეპტუალურ დიზაინს და **6.1.** პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღიდან **2 (ორი)** კვირის განმავლობაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონცეპტუალური პროექტების ვარიანტებთან დაკავშირებით.



**6.3.** შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ კონცეპტუალური პროექტების ვარიანტებთან დაკავშირებით კომენტარების მიღებიდან **2 (ორი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს საწყის ძირითად საპროექტო გადაწყვეტებს, რომელიც მომზადებული უნდა იყოს წინამდებარე ტექნიკური დავალების 4. და 4.1.2. პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად და შემსყიდველისა შენიშვნების გათვალისწინებით.

**6.4.** შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი განიხილავს კონცეპტუალური დიზაინის საბოლოო ვერსიებს და 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღიდან **1 (ერთი)** კვირის განმავლობაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონცეპტუალური პროექტების საბოლოო ვერსიებთან დაკავშირებით.

**6.5.** შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ საწყის ძირითად საპროექტო გადაწყვეტებთან დაკავშირებით კომენტარების მიღებიდან **2 (ორი)** კვირის ვადაში, მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს დეტალური პროექტის ვერსიებს, რომელიც მომზადებული უნდა იყოს წინამდებარე ტექნიკური დავალების 4. და 4.1.3. პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად.

**6.6.** შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი **1 (ერთი)** კვირის განმავლობაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს დეტალური პროექტის ვერსიასთან დაკავშირებით.

**6.7.** შემსყიდველის ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ კონცეპტუალური პროექტების ვარიანტებთან დაკავშირებით კომენტარების მიღებიდან **2 (ორი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს დეტალური პროექტის საბოლოო ვარიანტს 4.2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

კონსულტანტმა დამკვეთს უნდა გადასცეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის **საბოლოო ანგარიში**, დეტალურ პროექტი და სატენდერო მასალები დაბეჭდილი სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ერთ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე. M წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიაD(ტექსტური ნაწილიF Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD, EPANET და PDF ფორმატში).

წარმოსადგენი ანგარიშები	ეგზემპლარების რაოდენობა	წარმოდგენის ვადა
დეტალური პროექტის საწყის ვარიანტი	1	მომსახურების დაწყებიდან <b>8 კვირის</b> ვადაში.
დეტალური პროექტის საბოლოო ვარიანტი	4	მომსახურების დაწყებიდან <b>13 კვირის</b> ვადაში.
ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან საბოლოო პროექტის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.		მომსახურების დაწყებიდან <b>17 კვირის</b> ვადაში.

## 7. დამკვეთის წვლილი

დამკვეთი (ფონდი), მის ხელთ არსებულ ან/და საჭიროების შემთხვევაში შპს „ვილა-გოდოლი“-სგან გამოთხოვილ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის, გადასცემს კონსულტანტს. აღნიშნულ მასალებში იგულისხმება ტერიტორიაზე მოსაწყობი ყველა ტიპის ნაგებობების განთავსების გეგმები, ინფორმაცია დამსვენებელ-სტუმართა და მომსახურე პერსონალის მაქსიმალური და მინიმალური მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ. შენობა-ნაგებობებში მოსაწყობი ობიექტების და აღჭურვილობის შესახებ, რაც განსაზღვრავს ობიექტისთვის წყლის საჭირო რაოდენობას (მაგალითისთვის: რესტორანი, აუზი, საუნა, ხანძარქრობის სისტემები).

## **8. განსაკუთრებული პირობები**

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონსულტანტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.

## **9. პროექტის ვადა:**

მომსახურების მიწოდების ვადაა 4 თვე.